



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 4 23 0000747646



22/06/2023

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 21 აპრილის №384553 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) იურიდიული სამსახურის უფროსის 2023 წლის 22 ივნისის №746453 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2021 წლის 21 აპრილის №384553 ბრძანებაში შემდეგი სახით:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“.

ბ) ბრძანების პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს 1¹ პუნქტი შემდეგი სახით:

„1¹. დამტკიცდეს ცენტრის ეთიკის კოდექსი ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად“.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის სახით.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

ე. ჯგერა